**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---თებერვალი 2025 წელი**

**ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის I შესახვევისთვის მამა-შვილის ივანე და ნინო პოლტორაცკების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის I შესახვევს მიენიჭოს მამა-შვილის ივანე და ნინო პოლტორაცკების ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**


ცოცხალიწყალის ქუჩა
01.15.07.008.049
01.15.07.008.104
01.15.07.008.124
01.15.07.008.036
01.15.07.008.117
01.15.07.008.109
01.15.07.008.044
01.15.07.008.056
01.15.07.008.071
01.15.07.008.050
01.15.07.008.067
01.15.07.008.046
01.15.07.008.033
01.15.07.008.063
01.15.07.008.031
01.15.07.012.031
01.15.07.012.022
01.15.07.012.095
01.15.07.012.008
01.15.07.012.019
01.15.07.012.001
01.15.07.011.008
01.15.07.011.016
01.15.07.011.013
01.15.07.011.004
01.15.07.011.003
01.15.07.011.001
01.15.07.009.022
01.15.07.009.002
01.15.07.009.009
01.15.07.009.018
01.15.07.009.020
01.15.07.009.007
01.15.07.009.025
01.15.07.010.036
01.15.07.010.031
01.15.07.010.017
01.15.07.010.014
01.15.07.010.026
01.15.07.010.025
01.15.07.010.023
01.15.07.010.009
01.15.07.010.135
01.15.07.010.034
01.15.07.010.028
01.15.07.003.175
01.15.07.003.463
01.15.07.003.458
01.15.07.003.513
01.15.07.003.118
01.15.07.003.089
01.15.07.003.030
01.15.07.003.031
01.15.07.003.012
01.15.07.003.013
01.15.07.003.014
01.15.07.003.023
01.15.07.003.085
01.15.07.003.111
01.15.07.003.132
01.15.07.003.509
01.15.07.003.508
01.15.07.003.512
01.15.07.006.115
01.15.07.006.082
01.15.07.006.056
01.15.07.006.103
01.15.07.006.014
01.15.07.006.077
01.15.07.003.120
01.15.07.003.109
01.15.07.003.118
01.15.07.003.014
01.15.07.003.175
01.15.07.003.463
01.15.07.003.458
01.15.07.003.513
01.15.07.003.118
01.15.07.003.089
01.15.07.003.030
01.15.07.003.031
01.15.07.003.012
01.15.07.003.013
01.15.07.003.014
01.15.07.003.023
01.15.07.003.085
01.15.07.003.111
01.15.07.003.132
01.15.07.003.509
01.15.07.003.508
01.15.07.003.512

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს


მოქ: [illegible]

მცხ: თბილისი [illegible]

[illegible]

ტელ: 568 18 12 18 593 18 12 18

პ.ნ : 01009020269


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვთხოვთ ვანიხილოთ [illegible]
ისტორიული ძეგლებისა, რა [illegible]
[illegible] მეს ქუჩის, სანამდე
ქუჩებისა (ფოტოები [illegible]) სახელობის
ინიციატივასთან დაკავშირებით

ესტონეთის [illegible]
თავვრცელებულ პოზიციას:
სანქციებმა [illegible] სანდო [illegible]

[illegible]

24.02.24

უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს

მცხეთა თბილისის მთავარ ეპისკოპოსს,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის

მიტროპოლიტს ილია მეორეს

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატ. გიორგი ტყემელაძეს

ქალაქ თბილისის მერს

ბატ. კახა კალაძეს

ოქროყანის, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის- ძველ სასაფლაოზე შესასვლელში დგას ნიში, რომელსაც ადრინდელ დროიდან ნასაყდრალს უწოდებენ. ნასაყდრალი მთავარ ანგელოზი მიქაელის სახელობისაა და მის საზეიმოდ აღმნიშვნელ დღედ აღდგომის ბრწყინვალე კვირეულის ხუთშაბათი ითვლება.

ურწმუნოების პერიოდმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ბევრ ეკლესიას, გამონაკლისი არ იყო არც ოქროყანის ნასაყდრალი. მიწის ზედაპირზე არ დარჩა რაიმე მაჩვენებელი , რომელიც დაადასტურებდა საყდრის არსებობას და რომ ეს ადგილი არ დაკარგულიყო სამუდამოდ, ადგილობრივებმა საყდრიდან შემორჩენილი ქართული აგურით აღმართეს პატარა ნიში, შემდგომ გასულ საუკუნეს გააძლიერეს და მცირედად გააფართოვეს. ირგვლივ თავისუფალი ადგილები დასაკრძალად გამოიყენებოდა, ამის მიუხედავად მოსახლეობამ თხოვნით მიმართა საპატრიარქოს ნასაყდრალის ასაღდგენად, რომ თუნდაც დარჩენილი მცირე მიწის ნაწილის გამოყენებით გაკეთდეს სალოცავი რომელშიც ქარი არ ჩააქრობს სანთელს და

მლოცველი არ დასველდება წვიმის გამო. სალოცავი მიიჩნევა სწრაფშემსმენ ძლიერ მომქმედ სალოცავად.

საპატრიარქოს არქიტექტურის საბჭომ განიხილა ეს საკითხი და დავალებული იყო არქეოლოგიური კვლევის ჩატარება ,რაც ჩატარდა და წარდგენილ იქნა საბჭოს წინაშე. დასკვნის შესაბამისად საპატრიარქოს არქიტექტურის და ხუროდმოძღვრების საბჭომ მიიჩნია, რომ ეს საკითხი იძენს მეტ მნიშნელობას ვინაიდან ყოფილი საყდარი დაკავშირებულია წმინდანად აღიარებულ ექვთიმე თაყაიშვილის ოჯახთან. რადგან ძველი მაცხოვრებლების მტკიცებით ნასაყდრალის მარჯვნივ საფლავი ეკუთვნის გრაფ ივანე პოლტორაცკის და ნადო გაბაშვილს, რომლებიც ექვთიმეს ცოლის ნინა პოლტორაცკის მშობლები არიან.

გრაფი ივანე პოლტორაცკი ბევრი მიზეზის გამო საქართველოსთვის საზოგადო მოღვაწედ ითვლება.

მეფე ერეკლემ- გაბაშვილებს ოქროყანის მიწები გადასცა მფლობელობაში , გრაფ ივენე პოლტორაცკის ნადო გაბაშვილზე ქორწინებისას, ნადოს მზითვად გადაეცა ოქროყანის ზედა და ქვედა აგარაკები (იხ. არქ. კვლ. ი.პოლტორაცკის ბიოგრაფია)

ივანე გიმნაზიის დროიდან ილია ჭავჭავაძის განუყრელი მეგობარი იყო, იზიარებდა მის შეხედულებებს და მხარში ედგა ყველა საქმიანობაში.

გრაფ ივანე პოლტორაცკის დიდი დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე. იმ პერიოდში როდესაც ილია ჭავჭავაძე აირჩიეს *ყოველთა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* თავჯდომარედ , ივანე - ქალაქ თბილისის ნოტარიუსი, ამ საზოგადოების მნიშვნელოვანი შემომწირველი იყო, ასევე მისი ოქროყანის სახლი ყოველ ხუთშაბათს , გახლდათ იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის, ილია წინამძღვრიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვა ეპოქალური პიროვნებების შეკრების ადგილად. სტუმარ მოყვარე ივანეს გამასპინძლებაში ხელს უწყობდა სოფლის გულში, სახლის წინ - უძველესი წყარო.(საპარლამენტო ბიბლიოთეკიდან 18..წ. რუქა) ეს ქმედება არ იყო უსაფრთხო დეკაბრისტის შვილისთვის , რუსეთის იმპერიის ოხრანკის მხრიდან.

დღეს ისტორიკოსები აღნიშნავენ , რომ *ყოველთა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებამ* უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის მოპოვებაში. თამამად შეიძლება ითქვას რომ ოქროყანის ივანე პოლტორაცკის სახლი დიდი ისტორიის მატარებელია. ივანე

პოლტორაცკის გარდაცვალების შემდგომ ოჯახის მეურვედ გახლდათ ექვთიმე თაყაიშვილი, და ექვთიმემ ეს აგარაკი საფრანგეთიდან ჩამოსვლის მერე საჩუქრად გადაცა სოფელს სკოლის მოსაწყობად. მის ირგვლივ ქუჩები არა უბრალოდ პატივისცემის ნიშნად არის წოდებული ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილის, იაკობ გოგებაშვილის. ეს ადამიანები ამ ადგილზე სხვა გამოჩენილი პიროვნებებთან ერთად დადიოდნენ, ბჭობდნენ და ბრძოლობდნენ საქართველოს კეთილი მომავალის მოსაპოვებლად. ეკატერინე გაბაშვილი იხსენებდა : "ილია კურცხალ ცრემლებით მისტიროდა მეგობარ ივანეს", რომელიც დაკრძალეს ოქროყანაში მისი სურვილისამებრ. შემდგომ ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი იყო, რომ გამორჩეულ ადამიანებს უნდა გამოეყოთ განსაკუთრებულად მიჩნეული ადგილი-პანთეონი.

გთხოვთ იხილოთ, კულტურის სამინისტროს დავალებით შექმნილი , ანდრო ჭიაურელის ფილმი "ექვთიმე თაყაიშვილი".

გამოითქვა აზრი რომ კარგი იქნებოდა:

1. თბილისის 28 საჯარო სკოლას მიენიჭოს "ყოველთა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სახელობა - ილია ჭავჭავაძის და ივანე პოლტორაცკის თაოსნობით ყოველ ხუთშაბათს აქ მიმდინარეობდა შეკრებები. [illegible]
2. ერთ ერთ ახლოს მდებარე ქუჩას მიენიჭოს პოლონელი წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე ივანე პოლტორაცკის სახელი, პატივისცემის ნიშნად.
3. ოქროყანის თაყაიშვილის ქუჩის ძველ სასაფლაოზე ჩატარდეს კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელიც ხელს შეუწყობს სალოცავის მოწესრიგებას.
4. გამოვლენა-დადასტურების მიზნით ნასაყდრალის გვერდზე სავარაუდო ივენე პოლტორაცკის და ნადო გაბაშვილის საფლავების კვლევა.

26 მაისის დამოუკიდებლობის დღესასწაული ოქროყანის ისტორიული მოვლენების მნიშვნელობის გამო გახდეს ტრადიციულად საზეიმო ლოკაციად:

ა) სკოლაში ექვთიმეს თაყაიშვილის მიერ გადარჩენილი საგანძეულის გამოფენა-ექსპოზიცია.

ბ) საზეიმო კონფერენციები, გამოსვლები,

ვ) ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ქართული კალიგრაფიული მართლწერის კონკურსის ჩატარება.

გ) თბილისის საბავშვო ქართული ცეკვის და სიმღერის ანსამბლების კონკურსი, ნომინანტები შერჩეული იქნებიან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წარმომადგენლების მიერ. ქართულ ხალხურ სამოსით შემოსილი ბიჭი-გოგონები N 28 საჯარო სკოლიდან გაემართებიან , ახლოს მდებარე ყოფილ სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე(სარეკრიაციო ზონა).

რომელიც აერთიანებს ტურისტულ ბილიკებს : მამა დავითის ეკლესია პანთეონი-ფუნიკულიორი-ამაღლების ქუჩა.

დ) პანთეონის ექვთიმეს საფლავიდან მედავითნეების მსვლელობა სანერგეს ტერიტორიაზე და მსვლელობების შეერთებით კონცერთის დაწყება.

ე) სანერგეს ტერიტორიისთვის სახელობის მინიჭება.

თბილისის მერიას აქვს გაკეთებული განაცხადი ტურისტული ბილიკების და მოსაცდელების განახლების თაობაზე.

სასურველია გაკეთდეს სცენა მოკლევადიანი ღონისძიებების ჩატარებისთვის. გასაკეთებელ სცენაზე გაიმართოს კონცერტი-კონკურსი-სპეკტაკლებით თბილისში მრავლად არსებული მოზრდილთა და ბავშვთა ცეკვა- სიმღერის ანსამბლების და თეატრების მონაწილეობით .

საჭიროა თბილისის მერიის და მთაწმინდის გამგეობის მხარდაჭერა სპორტული მოედნების, ველობილიკის და სხვა და სხვა საბავშვო გასართობის მოსაწყობად .

ტურისტული ბილიკი იწყება მამა დავითის ეკლესიიდან, მიდის ფუნიკულორის პლატომდე და ოქროყანის სანერგე მეურნეობის გავლით ჩამოდის სოლოლაკში *მაგდანას ლურჯას* ქანდაკებამდე, წყაროსთან.

ეს ადგილი პოპულარულია ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის , რომელთა ინტერესს წარმოადგენს მრავალ კილომეტრიანი ბუნებაში განლაგებული

ტურისტული ბილიკის გავლა. ის გახდება სოლოლაკის და მთაწმინდის მოსახლეობისთვის საყვარელ დასასვენებელ და გამაჯანსაღებელ ადგილად.

ბევრმა არ იცის რა მნიშვნელოვანი კერძოდ ეროვნული დატვირთვა ჰქონდა ოქროყანის შუა გულს როგორც კულტურულ საგანმანათლებლო კერას, სადაც საფუძველი ეყრებოდა იმ ღირებულებებსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რაც საბოლოოდ აისახა კიდეც იმ დიდი ეპოქალური პიროვნებების ძალისხმევით, რომლებიც იკრიბებოდნენ პოლტორაცკებისა და გაბაშვილების საგვარეულო მამულში. სურვილი გვაქვს საზოგადოებისთვის ნათელი გახდეს ჩვენი დიდებული წინაპრებისა და ერისკაცთა ღვაწლისა და თავდადების შესახებ. ასევე ვღნიშნავთ რომ ოქროყანის ადგილ მამულები უკავშირდება წმინდანად შერაცხულ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს.

გთხოვთ გაიზიაროთ , მხარი დაუჭიროთ ამ წამოწყებას, განვახორციელოთ და გამოვხატოთ ქართველი ერის პატივისცემა - ექვთიმე თაყაიშვილის და XIX-XX საუკუნების ოქროყანის მოვლენებისადმი, რომელმაც საქართველოს მოუტანა დამოუკიდებლობა .

პატივისცემით და კეთილი სურვილებით

თბილისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროყანას სასაფლაოს ტერიტორიაზე, მიქაელ მთავარანგელოზის „საყდრის“ ადგილას ახალი ეკლესიის აშენებისთვის გამოყოფილ მიწის ფართობზე არქეოლოგ მერაბ ძნელაძის მიერ ჩატარებული

# არქეოლოგიური კვლევის ანგარიში


დამკვეთი : ირინა ჩხიკვიშვილი

შემსრულებელი: არქეოლოგი - ექსპერტი

ისტორიის დოქტორი მ.ძნელაძე


2017 წელი

2016 წლის დეკემბერში, თბილისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროყანაში, მიქაელ მთავარანგელოზის „საყდრის“ ადგილას ახალი ეკლესიის აშენებისთვის განკუთვნილ მიწის ფართობზე არქეოლოიური კვლევა ჩავატარე (იხ.საკადასტრო მონაცემები, ორთოფოტო, სიტუაციური გეგმა, ფოტოსურათები).

**ოქროყანა,** თბილისის უბანი და სააგარაკო ადგილი მთაწმინდის ქედის აღმ. კალთებზე. 650-700 მ-ის სიმაღლეზე. ყოფილი სოფელი, თბილისს შეუერთდა 1973 წ. [ქსე].

კოორდინატები: 41°41′00″ ჩ. გ. ; 44°46′00″ ა. გ.

მოსახლეობა: 2 253 კაცი (2014)

საკვლევი ტერიტორია (დაახლ. 30 კვ.მ.) არასასოფლო სამეურნეო მიწის დანიშნულების ფართობი ოქროყანაში ექვთიმე თაყაიშვილის (ყოფილი ჭავჭავაძის) ქუჩასთან მდებარე სოფლის სასაფლაოს განაპირას მდებარეობს (კოორდინატები: 481528 ; 4615013).



ადგილობრიბი მოსახლეობა მომცრო ზომის სალოცავს „მთავარანგელოზ მიქაელის ნასაყდრალს“ ეძახის. იგი, ოთხივე მხრიდან “თანამედროვე” საფლავებითაა (XIX–XX სს.) გარემოცული და მათგან ლითონის ბადითაა გამოყოფილი (იხ.გეგმა, სურათები). ჩრდილო და აღმოსავლეთით მდებარე საფლავები შედარებით მოშორებითაა (3-4 მ.), ხოლო სამხრეთ და დასავლეთის მხარეს გამართულებთან სალოცავს, ღობე ჰყოფს. მომცრო ზომის შესასვლელი სამხრეთ - დასავლეთის კუთხეშია ჩადგმული. სალოცავი შენობა ეკლესიისთვის არადამახასიათებელი სახისაა. იგი უფრო სალოცავი ნიშია, ვიდრე ეკლესია, ჩრდილო - სამხრეთით მიმართული წაგრძელებული ოთხკუდხედის ფორმის, მცირე ზომის (სიგრძე - 2 მ.; სიგანე -1,4 მ.; სიმაღლე - 1,8 მ-ია) ნაგებობაა. ხატები და სასანთლეები ამ ნაგებობაში გაკეთებულ ნიშშია გამოყვანილი. გარედან მოთეთრო-მონაცრისფროდაა შეღებილი. გადახურულია თუნუქის სახურავით.

სალოცავის „ეზოს“ სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში საფლავის ღობის ცოკოლი მოჩანს, რომელზედაც შემდგომში ახალი საფლავი არის გამართული. შესაძლოა, ქვედა საფლავი ცნობილ საზოგადო მოვაწეს - ივანე პოლტორაცკის, ან გაბაშვილებს ეკუთვნოდეს.



შემოღობილი ტერიტორიის გარეთა ჩრდილო და აღმოსავლეთ გვერდით ნაწილებში ჩანს ძველი საფლავების სახურავების ქვისფილები. ეს ფაქტი აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი მიწის აღნიშნულ ფართობზე ახალი ეკლესიის აშენების შემთხვევაში. გასათვალისწინებელი იქნება, აგრეთვე, არსებული სალოცავი ნიშის ახალი ეკლესიის ინტერიერში განთავსების საჭიროების საკითხიც.

ნიში და მის გარშემო მდებარე საფლავები XIX-XX საუკუნეთა სასაფლაოს ნაწილს წარმოადგენს. იგივეს ადგილობრივი ძველი მაცხოვრებლებიც ადასტურებენ, რომელთა ინფორმაციითაც, ამ ადგილებში, საქართველოს ღირსეულ საზოგადო მოღვაწეთა, როგორც პოლტარაცკების, ისე გაბაშვილების საფლავები უნდა ყოფილიყო გამართული. ჩვენი აზრით, მათი საფლავების მოძიება და წარმოჩენა უაღრესად საჭირო და მადლიანი საქმე იქნება.

საკვლევი მიწის ნაკვეთზე, ვიზუალური დაკვირვების შედეგად, მოძრავი არტეფაქტები არ დადასტურდა.

ამდენად,

1. საკვლევ ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩატარება დასაშვებად მიგვაჩნია მხოლოდ არქეოლოგიური ზედამხედველობის შემთხვევაში.

2. მიწის სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ობიექტის დადასტურების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ობიექტის გადაუდებელი შესწავლა.

*არქეოლოგი-ექსპერტი,*

*ისტორიის დოქტორი*

*მერაბ ძნელაძე* -

## მოკლე ინფორმაცია

ოქროყანის მიწების მფლობელები იყვნენ გაბაშვილები. გაბაშვილებისგან ოქროყანა ძმანუკის სახით მიიღო ივანე პოლტორაცკიმ, რომელსაც ცოლად ნადეჟდა გაბაშვილი ჰყავდა. 1900-იან წლებში გაჩნდა ე.წ. ზედა თბილისის გაშენების იდეა. გეგმის მიხედვით „ზედა თბილისი" ოქროყანაში მთაწმინდის პლატოზე უნდა გაშენებულიყო. შემუშავდა განაშენიანების გეგმა და ქუჩათა ქსელი. პოლტორაცკებმა მიწა იჯარით გადასცეს ბელგიურ კომპანიას, რომელმაც ოქროყანის ქვედა თბილისთან დასაკავშირებლად თბილისის ფუნიკულიორი ააშენა. ამ მიწაზე მოგვიანებით მთაწმინდის პარკი გაშენდა. ივანე პოლტორაცკის სიძე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, რომლის სახელი ეწოდა ოქროყანის სკოლას, რომელიც, ასევე, გაბაშვილების აგარაკის სახლში გაიხსნა [ ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული გვ. 283-286 — საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2007, ISBN 978-99940-852-0-0].

ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკი (პოლტარაცკი) (დ. 1836 — გ. 11 სექტემბერი 1892) — პოლონელი წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო.

პოლტორაცკები წარმოშობით პოლონეთიდან იყვნენ. გრაფი ეგნატე პოლტორაცკი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იდგა, ამიტომ მისი ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული დეკაბრისტულ მოძრაობაში, ამიტომ ქუთაისის გუბერნიაში გადაასახლეს. იქ მან შეირთო ზედგენიძის ასული, რომლისგან ორი ვაჟი, სიმონი და ივანე შეეძინა.

ივანე პოლტორაცკიმ მიიღო ქართული განათლება; დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. მსახურობდა თბილისში მომრიგებელ მოსამართლედ, ვექილად, ნოტარიუსად. ახლოს იყო ილია ჭავჭავაძესთან; მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გაზეთ „საქართველოს მოამბის" დაარსებაში. ილიამ მას მიუძღვნა პოემა „აჩრდილი". სიმონ პოლტორაცკი პეტერბურგში ცხოვრობდა, იურისტად მუშაობდა და იქაურ ქართულ სათვისტომოს მატერიალურად ეხმარებოდა. ივანე პოლტორაცკიმ პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იქორწინა ნადეჟდა (ნადო) გაბაშვილზე. ის გაბაშვილების ცნობილი ოჯახიდან იყო, რომელიც ზემელზე ცხოვრობდა. მისი და მარიამ გაბაშვილი ცნობილი პიანისტი და პირველი პროფესორი ქალი იყო საქართველოში. გაბაშვილები ფლობდნენ ოქროყანის მამულებს. მათ იქ ორი აგარაკი ჰქონდათ, ზემო და ქვემო. ზემო აგარაკის ორსართულიანი სახლი გადასცეს სოფლის მოსახლეობას სკოლისთვის. მოგვიანებით სკოლამ პოლტორაცკის სიძის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელი შეიძინა. პოლტორაცკებმა 1890 წელს ოქროყანის ნაწილი, დღევანდელი თბილისის ფუნიკულიორის ტერიტორია ბელგიურ კომპანიას გადასცეს იჯარით, რომელმაც ფუნიკულიორი გაიყვანა.

ივანე პოლტორაცკის რუსულ ენაზე ნათარგმნი აქვს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!", „ოთარაანთ ქვრივი", „გლახის ნაამბობი", შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ივანე პოლტორაცკი გარდაიცვალა 1892 წლის 11 სექტემბერს; დაკრძალულია ოქროყანაში.

პოლტორაცკის პირველი ვაჟი, ილია იყო ილია ჭავჭავაძის ნათლული. მან განათლება საფრანგეთში მიიღო. პროფესიით სამთო ინჟინერი იყო, შემდეგ კი ერთ-ერთ ბანკში მუშაობდა. გარდაიცვალა პარიზში, მემკვიდრე არ დარჩენია. ნადო გაბაშვილთან ივანე პოლტორაცკის ექვსი შვილი შეეძინა: ნინო, ელენე, ანა, სოფიო, ეკატერინე, ალექსანდრე. უფროსი ქალიშვილი ნინო (1869–1931) იყო მეუღლე ექვთიმე თაყაიშვილისა.ნინო პოლტორაცკაია გარდაიცვალა ლევილში (საფრანგ.) და იქვე იყო დაკრძალული, თუმცა 1987 წელს მისი ნეშტი გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, 2000 წელს კი — ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, მთაწმინდის პანთეონში [ჯავახიშვილი, ნიკო. ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები და ოჯახური გარემო // საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი: შრომები / ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. - თბილისი, 2011. - ISSN 1987-9970. - [ტ.] IV. - გვ.285-296. - შენიშვნ.. - რეზ. ინგლ. ენ.; ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული გვ. 283-286 — საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2007, ISBN 978-99940-852-0-0].

ოქროყანა, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა



სასაფლაო და სალოცავი ნიში ოქროყანაში ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე











სასაფლაო და სალოცავი ნიში ოქროყანაში ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე









ხედი

ჩრდილოეთიდან



ძველი

საფლავის სახურავის

ქვის ფილა




ТИФЛИСЪ

ТИФЛИСЪ

# [illegible] 3 [illegible] 3 მიქაელ მთავარანგელოზის ნახაზგრაფი



თბილისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროყანას სასაფლაოს ტერიტორიაზე, „მიქაელ მთავარანგელოზის საყდრის“ ადგილას ახალი ეკლესიის აშენებისთვის გამოყოფილ მიწის ფართობზე ჩასატარებელი არქეოლოგიური გათხრების

# საპროექტო განაცხადი

დამკვეთი : მოქალაქე ირინა ჩხიკვიშვილი

პროექტის ავტორი: არქეოლოგი,

ისტორიის დოქტორი მ.ძნელაძე


2021 წელი

## 1. განმარტებითი ბარათი

სოფ. ოქროყანას მოსახლეობის თხოვნითა და ქალბატონი ირინა ჩხიკვიშვილის ინიციტივით გადაწყდა სოფლის ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებული სალოცავი ნიშის ადგილას და მიმდებარედ, შესაძლო ძველი ეკლესიის დაფიქსირების მიზნით, არქეოლოგიური გამოკვლევის ჩატარება.

ადგილობრიბი მოსახლეობა დღეისთვის არსებულ მომცრო ზომის სალოცავს „მთავარანგელოზ მიქაელის ნასაყდრალს" ეძახის. იგი, ოთხივე მხრიდან "თანამედროვე" საფლავებითაა (XIX–XX სს.) გარემოცული და ლითონის ბადითაა გამოყოფილი (იხ.გეგმა, სურათები). ჩრდილო და აღმოსავლეთით მდებარე საფლავები შედარებით მოშორებითაა (3-4 მ.), ხოლო სამხრეთ და დასავლეთის მხარეს გამართულებთან, სალოცავს, ღობე ჰყოფს. მომცრო ზომის შესასვლელი სამხრეთ - დასავლეთის კუთხეშია ჩადგმული. სალოცავი შენობა ეკლესიისთვის არადამახასიათებელი ფორმისაა. იგი უფრო სალოცავი ნიშია, ვიდრე ეკლესია, ჩრდილო - სამხრეთით მიმართული წაგრძელებული ოთხკუდხედის ფორმის, მცირე ზომის (სიგრძე - 2 მ.; სიგანე -1,4 მ.; სიმაღლე - 1,8 მ-ია) ნაგებობას წარმოადგენს. ხატები და სასანთლეები ამ ნაგებობაში გაკეთებულ ნიშშია ჩადგმული. იგი გარედან მოთეთრო-მონაცრისფროდაა შეღებილი და თუნუქის სახურავითაა გადახურული. გადმოცემით ეს სალოცავი ნიში ერთ ბერძენ ხელოსანს აუშენებია თავისი მორწმუნე ცოლისთვის მე-20 საუკუნის 60 -იან წლებში ძველი აგურების ყრილის (შესაძლო ეკლესიის) ადგილას.

სალოცავის „ეზოს" სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში საფლავის ღობის ცოკოლი მოჩანს, რომელზედაც შემდგომში ახალი საფლავი არის გამართული. სოფლის მოსახლეობის მოსაზრებით, ქვედა საფლავი შესაძლოა ცნობილ საზოგადო მოვაწეს - ივანე პოლტორაცკის, ან გაბაშვილებს ეკუთვნოდეს.

შემოღობილი ტერიტორიის გარეთა ჩრდილო და აღმოსავლეთ გვერდით ნაწილებში ჩანს ძველი საფლავების სახურავების ქვისფილები. ეს ფაქტი აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი მიწის აღნიშნულ ფართობზე ახალი ეკლესიის აშენების შემთხვევაში. გასათვალისწინებელი იქნება, აგრეთვე, არსებული სალოცავი ნიშის ახალი ეკლესიის ინტერიერში განთავსების საჭიროების საკითხიც.

ნიში და მის გარშემო მდებარე საფლავები XIX-XX საუკუნეთა სასაფლაოს ნაწილს წარმოადგენს. იგივეს ადგილობრივი ძველი მაცხოვრებლებიც ადასტურებენ, რომელთა ინფორმაციითაც, ამ ადგილებში, საქართველოს ღირსეულ საზოგადო მოღვაწეთა, როგორც პოლტარაცკების, ისე გაბაშვილების საფლავები უნდა ყოფილიყო გამარჯვული.

ჩვენი აზრით, მათი საფლავების მოძიება და წარმოჩენა უაღრესად საჭირო და მადლიანი - ეროვნული საქმე იქნება.



2.არქეოლოგიური ობიექტის ზუსტი დასახელება:

სოფ. ოქროყანას „მთავარანგელოზ მიქაელის ნასაყდრალი“ (სალოცავი ნიში).

3.არქეოლოგიური ობიექტის ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი:

თბილისის მუნიციპალიტეტი, ოქროყანას დასახლება (სოფელი)

საკვლევი ტერიტორია (დაახლ. 30 კვ.მ.) არასასოფლო სამეურნეო მიწის დანიშნულების ფართობი ოქროყანაში ექვთიმე თაყაიშვილის (ყოფილი ჭავჭავაძის) ქუჩასთან მდებარე სოფლის სასაფლაოს განაპირას მდებარეობს (კოორდინატები: 481528 ; 4615013).

4.მესაკუთრე – სრულიად საქართველოს საპატრიარქო

5. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდება საკვლევი ობიექტის როგორც შიდა პერიმეტრში, ისე გარეთა მონაკვეთებზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

გათხრების მიზანია ძეგლზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება, ძეგლის ობიექტის სახისა და ხასიათის დადგენა.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე ძეგლის ობიექტის ტერიტორიაზე დამონტაჟდება საინფორმაციო ბანერი.

6. სამუშაოთა ჩატარების ორგანიზება და კალენდარული გრაფიკი:

საველე არქეოლოგიური სამუშაოები 10 კალენდარულ დღეს მოიცავს, ხოლო კამერალური სამუშაოები - 3 დღეს.

1-2 დღე - ტერიტორიის ზედაპირული და მცენარეული საფარისაგან გათავისუფლება, ტერიტორიის ადგილმებარეობის სიტუაციური გეგმის (მასშტაბი 1:2000 და 1:500) შედგენა GPS, საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფა/

3-9 დღე -არქეოლოგიური სამუშაოები: მიწის მოხსნა, გატანა, ქვედა ფენების გამოვლენა და მათი შესაბამისი ფიქსაციაა, გამოვლენილი ძეგლის ობიექტის განლაგების სქემისა და ანაზომის გაკეთება, არქეოლოგიური თხრილების, შურფებისა და რიგი დეტალების დატანა საერთო გეგმაზე.

კამერალური სამუშაოები - 3 დღე

არტეფაქტების გაწმენდა, გარეცხვა, აღწერა, ჩახატვა, გადაღება, აღდდგენა-რესტავრაცია და საეერთო ანგარიშის მომზადება.

ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალების მოძიება, შესწავლილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები. მოპოვებული არტეფაქტების დამუშავება- აღწერა-ფიქსაცია. კროკების შედგენა, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბით 1:25, 1:20) ძირითადი პარამეტრების ზომების დატანა.

7. ექსპედიციის შემადგენლობა:

1. ხელმძღვანელი - 1
2.ასისტენტი - არქეოლოგი - 1
3. მხატვარ-არქიტექტორი - 1
4. მუშა საჭიროების მიხედვით
5. კომპიუტერული მომსახურება - 1

8. დაფინანსების წყარო:
შემოწირულობა - ქველმოქმედება

9. ობიექტზე განსახორციებელი - პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების თანმიმდევრობა:

გათხრები დაიწყება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგეენტოს მიერ „სანებართვო მოწმობის“ გაცემიდან 10 დღის განმავლობაში.

ობიექტზე არქეოლოგიური გათხრები წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით შესრულდება. პროექტის მიხედვით გაიწმინდება შესასწავლი ტერიტორია, დაზუსტდება არსებული კულტურული ფენების ცალკეული დეტალები. გათვალისწინებული იქნება ახლად გამოვლენილი ფენებისა და დეტალების თავისებურებები. გათხრების პარალელურად ჩატარდება ფიქსაცია (ფოტო, ჩანახაზ-ჩანახატები, აღწერა). დაზუსტდება ცალკეული მონაკვეთების ნაწილები და ურთიერთკავშირი.

**10. სამუშაოები ჩატარდება** არქეოლოგიური მეთოდიკის სრული დაცვით (გათხრა, ფიქსაცია, კამერალური სამუშაოები).

**11.ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში ჩაბარდება**

ტექნიკურ დავალებაში ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალიწინებით.

აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები დაცული იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის საცავში.

**12. სამომავლო შედეგები:**

არქეოლოგიური კვლევის შედეგად დაზუსტდება რიგი საკითხები რომლებიც უცილობლად ხლს შეუწყობს არქიტექტორ-რესტავრატორებს კლესიის სრულყოფილ აღდგენა-აშენებაში.

**13.ექსპედიციის სამუშაოებში მონაწილეობს მიიღებენ არქეოლოგიით დაინტერესებული სტუდენტი ახალგაზრდობა.**

**14. ინფორმაცია არქეეოლოგიური სამუშაოების სფეროში პროექტის წარმომდგენის გამოცდილების შესახებ, შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის სახით.**

# მერაბ ძნელაძე

(მოკლე ინფორმაცია)


დაიბადა ქ.თბილისში 1951 წლის 18 აპრილს

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილები

განათლება უმაღლესი (ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ, ისტორიის ფაკულტეტი)

პროფესია: ისტორიკოსი, არქეოლოგი, პედაგოგი

სამეცნიერო ხარისხი, წოდება: ისტორიის დოქტორი, პროფესორი, სეას აკადემიკოსი

დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“ და „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით

საცხოვრებელი ადგილი: ქ.თბილისი, ხათუნა დონდუას ქ.#1; მობ.: 591 650955 ; ტ.:296-95-24; dzneladzemerabi@gmail.com


საქმიანობა: სამეცნიერო (არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, პედაგოგიკა)

1970-1972 წწ. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

2006 წლიდან დღემდე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო.ლორთქიფანიძის სახ.არქეოლოგიის ცენტრის უფრ.მეცნ. თანამშრომელი.

2016 წლიდან დღემდე სტუ-ს არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი.

1975-2006 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქოლოგიის კვლევის ცენტრი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1992-2002 წწ. მუშაობდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში მთავარ სპეციალისტად არქეოლოგიაში, სამეცნიერო განყოფილების გამგედ. მისი თაოსნობით 1998 წ. შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის სახ. გურიის მხარის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალი, რომლის პირველ დირექტორად დაინიშნა (1998-2002 წწ.).

მისი ხელმძღვანელობით შესწავლილი იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები **თბილისის ძველ უბნებში:** 1) „აბანოთუბანი“, წმ.ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მრავალფენიანი

ძეგლი (II-III სს. თერმა-აბანო; III-V სს. გალავნის ნაშთი; III-IV სს. მარანი; IX-XII სს. სასახლე; სხვადასხვა დროინდელ შენობათა და სამაროვანთა ნაშთები), გათხრები მიმდინარეობდა 1998-2015 წლებში. 2) 2015-2016 წწ. შაჰტახტის ციხე-სიმაგრის არქეოლოგიური გათხრები (IX-XIV სს) 3) 2014 წ. ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები. 4) 2013 წ. „პურის მოედანთან" - შაუმიანის ქ.#1-3. აღმოჩნდა IV-VI სს. ქალაქის გალავანი. 5) 2009-2010 წწ. ერეკლე მე-2 -ს მოედანზე სხვადასხვა დროინდელ (V-VII სს.; IX-XIV სს.; XVII-XVIII სს.) ნამოსახლართა ნაშთები. 6) 2009 წ. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე თანამედროვე ჰერბარიუმისთვის წარმოებულ მიწის სამუშაოებისას შესწავლილი იქნა XI-XIII სს. დროინდელი ტერასული დასახლება და XVIII-XIX სს. სამაროვნის ნაშთები. 7) 2009-2010 წწ. „მირზაშაფის" (სეიაბადის) დასახლებაში წარმოებული გათხრები. აღმოჩნდა XI-XIII სს. ნამოსახლარი ტერასები, აბანოს ნაშთი. 8) 2012 წ. პუშკინის ქ. #1-3. აღმოჩნდა ძველი თბილისის გალავანი და კოშკები („კოჯრის კართან"). სს. 9) 2007 წ. კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები. აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის (V-IX ; XII-XIII ; XV-XVII ; XVIII-XX სს.) კულტურული ფენები. 10) ორპირის ქ #20. ნარიყალას ციხის აღმოსავლეთ ფერდზე აღმოჩნდა მრავალფენიანი ძეგლი და „მკურნალის სახლი" (VII-IX; XI-XIII სს.). 11) 2005 წ. შავთელის ქ.#22-24 (ანჩისხატის უბანი). აღმოჩნდა მრავალფენიანი ძეგლი (VII-IX; XII-XIV; XVII-XVIII სს.). 12) 2020 წ. გათხრები ნარიყალაზე; 1982-1997 წწ. ეკლესიის აღდგენაში მონაწილეობის მიღება. 13) 1993 წ. „სობოროს მონასტრის" სამაროვანი (რუსთველის გამზირი)

**საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში:**

2004 წ. ვალე-ჭორატის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) ანტიკური ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი (I-IV სს.).

2000, 1995 წწ. კახეთი, ბოდბის წმ.გიორგისა და წმ. ნინოს ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები.

1988-85 წწ. დმანისის რაიონში სწავლობდა ანტიკურ და ბრინჯაოს ხანის სამაროვნებსა და ნამოსხლრებს.

1975-1992 წწ. მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობდა ანტიკურსა და შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე (ბაგინეთის, სარკინესა და ღართისკარის სასიმაგრო კომპლექსებზე); კარსნისხევის, მცხეთის, სამთავროს, მოგვთაკარის, კოდმანის, სვეტიცხოვლის, არმაზის, ნატახტარ-წეროვნისა და სხვა უბნებზე აღმოჩენილ სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე.

აქტიურ მონაწილეობას იღებს ეკლესიების აღდგენა-შესწავლაში: წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთას, ნარიყალას წმ.ნიკოლოზის, კლდისუბნის წმ.გიორგისა და ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიები, აბოს ნიში, ბოდბის წმ.გიორგისა და წმ.ნინოს ტაძარი, რგანის, კორბოულის დუმაცხოვროს, ვაშნარის სამონასტრო კომპლქსის - ნაქალაქარის, მამათის წმ. გიორგის, მიქაელ-გაბრილის თემში ანდრია პირველწოდებულის, დვაბზუს, ბოლნისის თევდორეწმინდანის, კალაურის იოანე ნათლისმცმლის ეკლესიები.

პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის, ბათუმისა და ოზურგეთის უმაღლესს საასწავლებლებში.

მონაწილეობას იღებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფენენციებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვადასხვა პროექტებში.

გამოქვეყნებული აქვს 17 მონოგრაფია და სამოცდათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის პუბლიცისტური წერილების ავტორი.

მომზადებული აქვს საესპერტო დასკვნები ნავთობისა და გაზსადენებისთვის გზებისა და მაგისტრალების, წყალსადენებისა და სხვადასხვა სახის მშენებლობებისთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე.

## მოკლე ინფორმაცია ოქროყანაზე

ოქროყანის მიწების მფლობელები იყვნენ გაბაშვილები. გაბაშვილებისგან ოქროყანა მზითევის სახით მიიღო ივანე პოლტორაცკიმ, რომელსაც ცოლად ნადეჟდა გაბაშვილი ჰყავდა.1900-იან წლებში გაჩნდა ე.წ. ზედა თბილისის გაშენების იდეა. გეგმის მიხედვით „ზედა თბილისი" ოქროყანაში მთაწმინდის პლატოზე უნდა გაშენებულიყო. შემუშავდა განაშენიანების გეგმა და ქუჩათა ქსელი. პოლტორაცკებმა მიწა იჯარით გადასცეს ბელგიურ კომპანიას, რომელმაც ოქროყანის ქვედა თბილისთან დასაკავშირებლად თბილისის ფუნიკულიორი ააშენა. ამ მიწაზე მოგვიანებით მთაწმინდის პარკი გაშენდა. ივანე პოლტორაცკის სიძე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, რომლის სახელი ეწოდა ოქროყანის სკოლას, რომელიც, ასევე, გაბაშვილების აგარაკის სახლში გაიხსნა [ ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული გვ. 283-286 — საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2007, ISBN 978-99940-852-0-0].

ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკი (პოლტარაცკი) (დ. 1836 — გ. 11 სექტემბერი 1892) — პოლონელი წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო.

პოლტორაცკები წარმოშობით პოლონეთიდან იყვნენ. გრაფი ეგნატე პოლტორაცკი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იდგა. ამიტომ მისი ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული დეკაბრისტულ მოძრაობაში. ამიტომ ქუთაისის გუბერნიაში გადაასახლეს. იქ მან შეირთო ზედგენიძის ასული, რომლისგან ორი ვაჟი, სიმონი და ივანე შეეძინა.

ივანე პოლტორაცკიმ მიიღო ქართული განათლება; დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. მსახურობდა თბილისში მომრიგებელ მოსამართლედ, ვექილად, ნოტარიუსად. ახლოს იყო ილია ჭავჭავაძესთან; მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გაზეთ „საქართველოს მოამბის" დაარსებაში. ილიამ მას მიუძღვნა პოემა „აჩრდილი". სიმონ პოლტორაცკი პეტერბურგში ცხოვრობდა. იურისტად მუშაობდა და იქაურ ქართულ სათვისტომოს მატერიალურად ეხმარებოდა. ივანე პოლტორაცკიმ პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იქორწინა ნადეჟდა (ნადო) გაბაშვილზე. ის გაბაშვილების ცნობილი ოჯახიდან იყო, რომელიც ზემელზე ცხოვრობდა. მისი და მარიამ გაბაშვილი ცნობილი პიანისტი და პირველი პროფესორი ქალი იყო საქართველოში. გაბაშვილები ფლობდნენ ოქროყანის მამულებს. მათ იქ ორი აგარაკი ჰქონდათ, ზემო და

ქვემო. ზემო აგარაკის ორსართულიანი სახლი გადასცეს სოფლის მოსახლეობას სკოლისთვის. მოგვიანებით სკოლამ პოლტორაცკის სიძის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელი შეიძინა. პოლტორაცკებმა 1890 წელს ოქროყანის ნაწილი, დღევანდელი თბილისის ფუნიკულიორის ტერიტორია ბელგიურ კომპანიას გადასცეს იჯარით, რომელმაც ფუნიკულიორი გაიყვანა.

ივანე პოლტორაცკის რუსულ ენაზე ნათარგმნი აქვს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ივანე პოლტორაცკი გარდაიცვალა 1892 წლის 11 სექტემბერს; დაკრძალულია ოქროყანაში.

პოლტორაცკის პირველი ვაჟი, ილია იყო ილია ჭავჭავაძის ნათლული. მან განათლება საფრანგეთში მიიღო. პროფესიით სამთო ინჟინერი იყო, შემდეგ კი ერთ-ერთ ბანშკი მუშაობდა. გარდაიცვალა პარიზში, მემკვიდრე არ დარჩენია. ნადო გაბაშვილთან ივანე პოლტორაცკის ექვსი შვილი შეეძინა: ნინო, ელენე, ანა, სოფიო, ეკატერინე, ალექსანდრე. უფროსი ქალიშვილი ნინო (1869–1931) იყო მეუღლე ექვთიმე თაყაიშვილისა.ნინო პოლტორაცკაია გარდაიცვალა ლევილში (საფრანგ.) და იქვე იყო დაკრძალული, თუმცა 1987 წელს მისი ნეშტი გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, 2000 წელს კი — ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, მთაწმინდის პანთეონში [ჯავახიშვილი, ნიკო. ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები და ოჯახური გარემო // საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი: შრომები / ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. - თბილისი, 2011. - ISSN 1987-9970. - [ტ.] IV. - გვ.285-296. - შენიშვნ.. - რეზ. ინგლ. ენ.; ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული გვ. 283-286 — საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2007, ISBN 978-99940-852-0-0].

ოქროყანა, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა

სასაფლაო და სალოცავი ნიში ოჭროყანაში ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე







სასაფლაო და სალოცავი ნიში ოქროყანაში ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე





ხედი

ჩრდილოეთიდან



ძველი

საფლავის სახურავის

ქვის ფილა




ТИФЛИСЪ

ТИФЛИСЪ
Окрѣкана
Крипаки
Шиндиси

ოქროყანა, ე თაყაიშვილის ქ მიქაელ მთავარანგელოზის
ნახაზრალი



ქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ქ.თბილისში, ჭავჭავაძის
გამზირის #51,ბ.21
მცხოვრებს

გრეტა ნიჟარაძის

მიმართვა

პატივცემულო ბატონო გიორგი,

მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი თავი. მე ვარ ყოფილი ოქროყანას მფლობელის ბატონ ივანე პოლტორაცკის შვილთაშვილი გრეტა ნიჟარაძე. დარწმუნებული ვარ რომ თქვენთვის ცნობილია ბატონი ივანეს ქალიშვილი და დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე ნინო პოლტორაცკაია რომელიც დაიბადა და გაიზარდა სოფელ ოქროყანაში. მამამისი ბატონი ივანე პოლტორაცკი იყო იურისტი ნოტარიუსი ქ. თბილისში და  დიდი ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე. როდესაც ბატონმა ილიამ დააარსა ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საზოგადოება ბატონმა პოლტორაცკიმ დაუთმო ამ საზოგადოებას ოქროყანაში ერთი თავისი სახლი სადაც ეს საზოგადოება იკრიბებოდა ყოველ ხუთშაბათს. ამ საზოგადოების წევრთა შორის იყვნენ იმ დროის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, აკაკი წერეთელი, ეკატერინე გაბაშვილი და ბევრი სხვა. ივანე პოლტორაცკი თავის შესაძლებლობის ფარგლებში ასევე მატერიალურად ეხმარებოდა საზოგადოების მოქმედებას და ამ საზოგადოების დებულების ფარგლებში თავის სახლში ოქროყანაში დაარსა სკოლა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს ამავე შენობაში რეკონსტრუქციის შემდეგ.

ყველა აღნიშნულთან დაკავშირებით მოგვმართავთ თხოვნით რომ ბატონი ივანე პოლტორაცკის ღვაწლის აღსანიშნავად ერთ-ერთ ქუჩას სოფელ ოქროყანაში მიენიჭოს ივანე პოლტორაცკის სახელი.

წინასწარ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის და იმედი მაქვს რომ ჩემი თხოვნა არ დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე

ღრმა პატივისცემით,

გრეტა ნიჟარაძე

25.03.2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032505014**
თარიღი: **19/02/2025**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობა
**მისამართი:** მთაწმინდა - ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #48

მთაწმინდის რაიონის გამგებელს
დავით კირკიტაძეს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ოქროყანაში მდებარე ციურიხის ქუჩის I შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბების და მისთვის ივანე და ნინო პოლტორაცკების სახელის მინიჭების საკითხს. როგორც საქმისწარმოების პროცესში დადგინდა, ექვთიმე თაყაიშვილისა და პოლტორაცკების მოღვაწეობა არსებითადაა დაკავშირებული აღნიშნულ ტერიტორიასთან. დანართში წარმოდგენილ მასალებში ნათლადაა წარმოდგენილი აღნიშნული კავშირები.

მოგმართავთ თხოვნით, თბილისის საკრებულოში მიმდინარე განხილვის თაობაზე, ორი კვირის ვადაში მოახდინოთ ციურიხის I შესახვევში მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირება.

დანართი: 36 (ოცდათექვსმეტი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**ივანე პოლტორაცკი**

**(1836-1892)**

**ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი**

**(1869-1931)**

**პოლონური წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე**

პოლტორაცკები წარმოშობით პოლონეთიდან იყვნენ. გრაფი ეგნატე პოლტორაცკი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იდგა, ამიტომ მისი ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული დეკაბრისტულ მოძრაობაში, ამიტომ ქუთაისის გუბერნიაში გადაასახლეს. იქ მან შეირთო ზედგენიძის ასული, რომლისგან ორი ვაჟი, სიმონი და ივანე შეეძინა.

ივანე პოლტორაცკიმ მიიღო ქართული განათლება; დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. მსახურობდა თბილისში მომრიგებელ მოსამართლედ, ვექილად, ნოტარიუსად. ახლოს იყო ილია ჭავჭავაძესთან; მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გაზეთ „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში. ილიამ მას მიუძღვნა პოემა „აჩრდილი“. სიმონ პოლტორაცკი პეტერბურგში ცხოვრობდა, იურისტად მუშაობდა და იქაურ ქართულ სათვისტომოს მატერიალურად ეხმარებოდა.

ივანე პოლტორაცკიმ პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იქორწინა ნადეჟდა გაბაშვილზე. ის გაბაშვილების ცნობილი ოჯახიდან იყო, რომელიც ზემელზე ცხოვრობდა. მისი და მარიამ გაბაშვილი ცნობილი პიანისტი და პირველი პროფესორი ქალი იყო საქართველოში. გაბაშვილები ფლობდნენ ოქროყანის მამულებს. მათ იქ ორი აგარაკი ჰქონდათ, ზემო და ქვემო. ზემო აგარაკის ორსართულიანი სახლი გადასცეს სოფლის მოსახლეობას სკოლისთვის. მოგვიანებით სკოლამ პოლტორაცკის სიძის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელი შეიძინა. პოლტორაცკებმა 1890 წელს ოქროყანის

ნაწილი, დღევანდელი თბილისის ფუნიკულიორის ტერიტორია ბელგიურ კომპანიას გადასცეს იჯარით, რომელმაც ფუნიკულიორი გაიყვანა.

ივანე პოლტორაცკის რუსულ ენაზე ნათარგმნი აქვს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ივანე პოლტორაცკი გარდაიცვალა 1892 წლის 11 სექტემბერს; დაკრძალულია ოქროყანაში.

პოლტორაცკის პირველი ვაჟი, ილია იყო ილია ჭავჭავაძის ნათლული. მან განათლება საფრანგეთში მიიღო. პროფესიით სამთო ინჟინერი იყო, შემდეგ კი ერთ-ერთ ბანკში მუშაობდა. გარდაიცვალა პარიზში, მემკვიდრე არ დარჩენია. ნადეჟდა გაბაშვილთან ივანე პოლტორაცკის ექვსი შვილი შეეძინა: ნინო, ელენე, ანა, სოფიო, ეკატერინე, ალექსანდრე.

უფროსი ქალიშვილი ნინო (1869–1931) იყო მეუღლე ექვთიმე თაყაიშვილისა. მან მუსიკალური განათლება მიიღო პარიზში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. ივანე პოლტორაცკის შვილი და ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა ლევილში (საფრანგეთი) და იქვე იყო დაკრძალული, თუმცა 1987 წელს მისი ნეშტი გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, 2000 წელს კი — ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, მთაწმინდის პანთეონში.